

**რამდენიმე სპარსული ნასესხობის  
შესახებ ქართულში  
(კვარტი, მაზრა, სარქალი, ფორთოხალი)  
ON SOME PERSIAN BORROWINGS IN GEORGIAN  
(ᲕᲕᲕᲕᲕᲕ /CHITON/, ᲓᲗᲗᲗᲗᲗᲗ /DISTRICT/,  
SARKALI /HEAD SHEPHERD/, PORTOᲕᲕᲕᲕᲕᲕ /ORANGE/)**

**ნომადი ბართაია**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი. საქართველო

**Nomadi Bartaia**

Akaki Tsereteli State University  
Kutaisi Georgia

**ABSTRACT**

Georgian language has a certain number of lexical borrowings transferred from different languages at different times. Among them are the Persian borrowings that hold an important place.

Among Persian loan words attested in Georgian, the author turns his attention to four lexical items such as **ᲕᲕᲕᲕᲕᲕ** (chiton), **ᲓᲗᲗᲗᲗᲗᲗ** (district), **sarkali** (head shepherd), **portohali** (orange).

The words **ᲕᲕᲕᲕᲕᲕ** and **mazra** come from the Middle Persian words: **kur.ta** - shirt... and **marz** – territory.

**Sarkali** and **portohali** are derived from the new Persian lexemes: **راکرس** [sarqâr] - commander ... and **ل ا ق ت ر ف** [forte (o a) kal] (← Portugal) - orange.

**Sarkal** has acquired a new semantic meaning in Georgian - a head shepherd.

**Portohali** - Orange was brought to Iran from Portugal in the 15th century and the wordform derived from the name of the country in Persian, from where it appears to originate in the Georgian language.

The above words are introduced in Georgian with certain phonetic and semantic changes.

**საკვანძო სიტყვები:** სპარსული სიტყვები ქართულში, ქართული ენა, ნასესხები ლექსიკა.

**Keywords:** Persian words in Georgian, Georgian Language, Borrowed vocabulary.

ქართულში სპარსული ნასესხობებიდან ამჯერად ჩვენი ყურადღება მიიპყრო შემდეგმა ლექსიკურმა ერთეულებმა: **კვარტი მაზრა, სარქალი, ფორთოხალი.**

### 1. კვართი

ქართულ ლექსიკონებში კვართი ასეა განმარტებული:

კვართი (ძვ.) იგივეა, რაც პერანგი (ქეგლ 1986).

კუართ-ი სამოსელი, შესამოსელი, ტანსაცმელი პერანგი. „დამოიპო კუართი თვისი“ C, „დაიპო სამოსელი თვისი“ DE, მრ. 14, 63; „მოგცე... ოცდაათი კუართი“ M, - „მიგცნე... ოცდაათნი შესამოსელნი“ G მსჯ. 14, 12; „კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“ მთ. 27. 35; „რომელსა უნდეს... კუართისა შენისა მიღებად“ მთ. 5, 40; „მოჰკუეთნა კალთაკნი კუართისა მათისანი“ O, II მფ. 10,4. იხ. განკუართვა, ნიფხავ-კუართი, შეკუართვა (აბულაძე 1973).

კვართი პერანგი ან ჯუბა (ჩუბინაშვილი 1984).

კუართი ჯუბა, გინა პერანგი (ორბელიანი 1991).

მეგრულში კვართი არის ფორმით კურთა და ნიშნავს - ქვედა საცვალს (ქობალია 2010).

ახალ სპარსულში, რომელიც მოდის IX-X საუკუნეებიდან, კვართი არის ფორმით کورتا [korte] და აქვს შემდეგი მნიშვნელობები: 1. პერანგი 2. ქურთუკი (Рубинчик 1983), ხოლო მისი ადრეული საშუალო სპარსული ფორმაა - کرتا [kur.ta], ხოლო ძველი ირანული - krtka (Hasandusti 2017 (1395).

კვართი, გარკვეული ფონეტიკური ცვლილებით, ქართულ ენაში შემოსული უნდა იყოს საშუალო სპარსულიდან. ფონეტიკური გზა ასეთი ჩანს:

kur.ta -> quarta -> kuarti.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მეგრულში კვართი დასტურდება საშუალო სპარსული ფორმით - კურთა (kurta).

### 2. მაზრა

ამ სიტყვას ასე განმარტავს ქართული ლექსიკონები:

მაზრა (ძვ.) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული მეფის რუსეთში (და საბჭოთა კავშირში რაიონების შექმნამდე) (ქეგლ 1986).

მაზრა ს. თემი სამოურავო, საერისთო (ჩუბინაშვილი 1984).

მაზრა მოდის სპარსული სიტყვიდან ماز [marz], რომელიც სპარსულ ლექსიკონებში ასეა განმარტებული: 1. საზღვარი; სასაზღვრო ხაზი; 2. კვალი; 3. მიწა; 4. ტერიტორია; 5. მხარე (Рубинчик 1983).

სპარსულში ماز [marz]-იდან, ხელობის მაწარმოებელი باب [bân] სუფიქსის საშუალებით, ნაწარმოებია სახელი مازباب [marzbân], მნიშვნელობით: საზღვრის მცველი, მესაზღვრე, რომელიც სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით, ჯერ კიდევ „ევსტათი მცხეთელის წამებიდან“ (VI ს.) დასტურდება ქართულ ტექსტებში:

„მაშინ ჰრქუა მას ბუზმირ მარზაპანმან (ევსტატე მცხეთელი 1946: 53, 28).

„განრისხნა ფრიად მარზაპანი იგი მეფისა“ (ასურელ მოღვაწეთა ცხოვრება 1955: 193,31).

„გუბრძანე წვევა ლაშქართა, გავგზავნე მარზაპანია“ (რუსთველი 1966: 405/1).

„მარზაპანმა ბალხთა ენა არ იცოდა“ (ორბელიანი 1962: 301. 25).

მარზაპანი მარზაპანი არს გამგებელი, გინა სპათ-მთავარი. მეფეთ მონაცვლე (ორბელიანი 1991).

მარზაპან-ი ქართულ ლექსიკონებში ასეა განმარტებული:

მარზაპან-ი (მარზპნისა) მხარის მპყრობელი, გამგებელი: „წარავლინა შეკრებად მარზპნებისა, ერის-თავთა, სოფლისამთავართა, შერაცხილთა და ძლიერთა და ხელმწიფეთა და ყოველთა მთავართა“ I, დან. 3, 2 (აბულაძე 1973).

მარზაპანი (ვტ. 397,1) მონაცვლე, საქმის განგებაში მომაგიერო, სპარსულად ნ ა ი ბ ი ,

მ ა რ ზ ა პ ა ნ ი ქართულად - სიმწრაფლითა ჯარის მაწვეველი, მხედართმძღვანთა მოადგილე. მ ა რ ზ პ ა ნ ი - მონაცვულა (ბაგრატიონი 1979).

مرزبان [marzbân]-ის საშუალო სპარსული ფორმაა marzepân (Pashang 1377), საიდანაც მომდინარე ჩანს ქართული მარზპანი // მარზაპანი.

ქართულში გვაქვს აგრეთვე მარზ-იდან با [bud, - bad] სუფიქსით ნაწარმოები სიტყვა მაზრაპეტი (<მარზ ბად), რომელსაც ქართული ლექსიკონები ასე განმარტავს:

მაზრაპეტი სტრაპეტი, სტრაპი, სტრაპესი, სტრაპი (ორბელიანი 1991).

მაზრაპეტი სტრაპეტი. ს ტ რ ა პ ი ქალდეურის ენით - თავადი და ხაზარულად - მოურავი (ბაგრატიონი 1979).

მაზრაპეტი - მაზრის მოურავი, განმგებელი, სატრაპეტი, ნაიბი (ჩუბინაშვილი 1984).

### 3. სარქალი

ეს სიტყვა ქართულ ენაში გვხვდება ორი ფორმით: სარქარ, სარქარდი // სარქარდა. ლექსიკონებში განმარტებულია ასე:

სარქალ-ი (სარქლისა) [სპ.] უფროსი მწყემსი, რომელსაც ირჩევენ მწყემსები ბინაზე ყოფნის დროს. კოლმეურნეობის ს. (ქეგლ).

სარქარდი, სარქარი (სპარს.) ს, უფროსი, ზედამხედველი (ჩუბინაშვილი 1984).

სარქარი ნახაპეტი (ბაგრატიონი 1979).

სარქარდა ზედმოურნე (ბაგრატიონი 1979).

სარქალი 1. მწყემსების უფროსი, პასუხისმგებელი პირი, შეამხანაგებული მწყემსების მიერ შერჩეული თავკაცი. 2. რაიმე საქმის თავკაცი, უფროსი (ხორნაული 2000).

ساركار [sar kâr] 1. ბატონი, მისი კეთილშობილება (მიმართვის ფორმა არმიაში). 2. თავაზიანი მიმართვა, 3. ზედამხედველი (Рубинчик 1983); ანგარიში, თანხა სეფიანთა დროს (Mo'in 1382).

ساركار [sar kâr] ორწევრიანი კომპოზიტია, რომლის პირველი კომპონენტი سار [sar] ნიშნავს - თავს, ხოლო მეორე کار [kâr] - საქმეს.

ساركار[sar kâr] გვხვდება პროფესიის აღმნიშვნელი გარ[gar] სუფიქსითაც - ساركار گار [sar kâr gar], რომლის მნიშვნელობაა: ოსტატი, ბრიგადირი (Рубинчик 1983).

სარქალი მომდინარეა ახალი სპარსული سر کار [sar kâr]-იდან, სადაც ნიშნავს ზოგადად მეთაურს. თანამედროვე ქართულში მას კონკრეტული - „მთავარი მწყემსის“ მნიშვნელობა შეუძენია.

#### 4. ფორთოხალი

ფორთოხალს ქართული ლექსიკონები განმარტავს ასე:

ფორთოხალ-ი (ფორთოხლისა) 1. Citrus sisensis სუბტროპიკული სურნელოვანი ხე; თეთრად ყვავის; ისხამს ნარინჯისფერ წვნიან ნაყოფს. 2. ამ ხის ნაყოფი (ქეგლ 1986),

ფორთოხალი Апельсин Citrus sinensis Osbeek. მსხ. ნ ა რ ი ნ ჯ ი, ფ ო რ ტ ა კ ა ლ ი; ჩ. კ ო რ ტ ო გ ა ლ ი; ჭნ. ფ ო რ თ ო კ ა ლ ი, ფ ო რ ტ უ კ ა ლ ე (მაყაშვილი 1991).

ფორთოხალი ს. აპელცინი Апельсин (ჩუბინაშვილი 1984).

ფორთოხალს სხვადასხვა ენებზე სხვადასხვა სახელწოდება აქვს: ინგლ., გერმ., ფრანგ. Orange, ესპ. Narinja, რუს. Apelsin, იტალ. Portogallo ახ.ბერძნ. Portokali (ბიზანტ. ბერძნ. Xrisomilon – „ოქროს ვაშლი“), თურქ. Turuncu, Portukal, არაბ. Al-burtuqaliu, ჩინ. Cheng, ვიეტ. Cam...).

როგორც მოჰამად მოინი თავის სპარსული ენის განმარტებით ლექსიკონში წერს, ფორთოხალი ირანში შემოიტანეს პორტუგალიელებმა და სახელწოდებაც მისი ქვეყნის სახელის მიხედვით აქვს მას შემოყოლილი.

ფორთოხალი სპარსულად იწერება და გამოითქმის ასე: پورتقال (forte /o/a/ kal) ←portugal, საიდანაც იგი შემოსული ჩანს ქართულში ახალი სპარსულიდან ფორმით - ფორთოხალ-ი.

ფორთოხალი მანამდეც იყო ცნობილი ირანელთათვის, მისი საშუალო სპარსული სახელწოდებაა vatrang (Hasan Rezaei bagh bidi 1391).

ამგვარად, ოთხი სპარსული ნასესხობიდან (კვართი მაზრა, სარქალი, ფორთოხალი) კვართი და მაზრა მოდის საშუალო სპარსული ლექსიკური ერთეულებიდან: kur.ta „პერანგი“... და marz „ტერიტორია“..., ხოლო სარქალი და ფორთოხალი - ახალი სპარსულიდან: سرکار [sarkâr] – „მეთაური“, რომელსაც ქართულში „მთავარი მწყემსის“ მნიშვნელობა შეუძენია... და پورتقال [forte /o/a/ kal] (←portugal) „ფორთოხალი“.

განხილული სიტყვები ქართულში შემოსულია გარკვეული ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილებებით.

#### გამოყენებული ლიტერატურა

**აბულაძე 1973:** აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი, 1973.

**ასურელ მოღვაწეთა ცხოვრება 1955:** ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. ტექსტები, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ. თბილისი, 1955.

**ზაგრატიონი 1979:** ზაგრატიონი თ., წიგნი ლექსიკონი. გამოსაცემად მოამზადა გურამ შარაძემ. თბილისი, 1979.

